


# საქართველო



ლითოგრ. გ. დეკუროვისა თბილისი

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 19.

მანისი 9, 1893 წ.

№ 19.

**შენახსი:** — ალბომში, (ლექსი) აკაკისა. — მატთანე — შორე წერილი მეგობარს კორტოხასი. — მეტეოროლოგია ანუ სწავლა ამინდზე ივ. ხოტეველისა. — წერილი ამბები — სიტყვა, თქმული განჯაში, ნიკო ბაქრაძის მიერ. — სიტყვა, თქმული განჯაში, დეკანოზის მძინარაშვილის მიერ. — რიონს, ლექსი სილოვანისა. — კოლუმბის მსოფლიო გამოფენა ჩიკაგოში. — ბატონებმა არდიწუნეს, (მოთხრობა) ანასტასია ერისთვისა. — შენიშვნა.

## ალბომში

**მ**აწიელი სჯობდი მოხუცსა,  
მოხუცი — სჯობსა ყმაწვილებს?  
ასეა, ვისაც ბუნება  
თვის ძალას გაუნაწილებს.

ახალი ცული ძეგლ კარვის  
ვისგან რა შესაფარლია?  
ვარდი რომ კიდევ სტყნებოდეს,  
მანც ვარდი და ვარლია.

ის თუმც აღარ ხარ, რაც იყავ,  
შენთანვე შედარებითა,  
მანც შენ გიჩვენებს გონება  
და გრძობა-ნეტარებითა.

იცოცხლე, იმზარულე,  
ციურის ნიჭით გზნობილო!  
არ მინდა დავასახელო  
ისეც ყველასგან ცნობილო!

## მ ა ტ ი ა ნ ე

**ფ**ილისი დიდ ფაცა-ფუცია: გათავდა თუ არა  
სათავად-აზნაურო ბანკისა და სასკოლო კრე-  
ბები, რომელ ებზედაც აუარებელი ხალხი ესწრე-  
ბოდა და ათი დღის განმავლობაში დილა-სღამოთი  
გულმოდგინედ ადევნებდა თეაღ-ყურს მათში ბაასს,  
დაიწყო ცხარე ბრძოლა ამომჩრეველთა შორის ტფი-  
ლისის ხმოსანთა ამოსარჩევად. დღეისწორს სახელ-  
მწიფო თეატრში თავს მოიყრიან ქალაქის ამომჩრე-  
ველნი და თოვიანთ განაჩენს დაადგენენ იმ ახალ მი-  
მართულების შესახებ, რამაც ეს ორი წელიწადი  
ჩენის დედა-ქალაქის საბჭოში ფეხი მოიკიდა.

ორი წელიწადი ცოტა დროა, მართალია, რაი-  
მე შესაძლებელი ბევრის დასახმელად, მაგრამ, თუ ჩაუე-  
კივრდებით ტფილისის საბჭოს მოქმედებას ამ ორის  
წლის განმავლობაში, ბევრს საყურადღებოს და შე-  
სანიშნავს დავინახავთ:

პირველი ესა, რომ ახალი საბჭო და ახალი ხმა-სანი ცდილობდნენ უმთავრესად წესიერებისა და რიგინაობის დამყარებას ქალაქის საქმეებში. ეს „წესიერება და რიგინაობა“ ცარიელი სიტყვები ნუ გგონებთ. და მართლაც რა წესიერება იყო მოსალოდნელი უწინდელის საბჭოსაგან, რომელიც თითქმის ყოველისფერს ამტკიცებდა და იწონებდა, რასაც გამგობა წარმოუდგენდა. ასე განსჯეთ, ახალს საბჭოს ხუთი წლის ანგარიში შეუძლიაწმინდელი დაუხედა და ეს აუარებელი შრომა, წინანდელ საბჭოსათვის სავალდებულოა, ახალმა თვის შორის ამორჩეულ კომისიას დააკისრა. ახლის საბჭოს ახალმა კომისიამ გამუდმებული ჯავით ძლიერ მოუღო ბოლო ამ ეგება საქმეს და მრავალ შესანიშნავს ნაკლს მიჰქცია ყურადღება, დიდ ძალს ურიგობას წააწყდა.

მარტო ერთი მაგალითი რომ დავასახელოთ, ისიც თვალ-საჩინოდ დავგანახებებს, თუ რა „რიგინაობა და წესიერება“ იყო დამყარებული ქალაქის საქმეებში: ცხენის რკინის გზას, რომელიც უცხოელთა საზოგადოებას ეკუთვნის, ქალაქი რამდენსამე წლის განმავლობაში უფასოდ სწმენდა და ხეცტდა, თუმცა ამისი მოვალე სრულიად არ იყო. მხოლოდ როცა ახალ ხმოსანთ აუზილეს თვალი გამგობას, უკანასკნელმა უცხოელთა საზოგადოებას დაავალა ეხადა წელიწადში ორას თუმანზე მეტი ამ სამსახურისათვის ღირსეულ ქალაქის ღირებ კანას ოპოს-სამის თუმანამდე შეემატა მარტო ამ წერილობრივი საბჭოს.

და განა მარტო ამ გზით შეემატა ქალაქის კასსა?! საფინანსო კომისიამ, რომელიც მხოლოდ ახალი მიმართულების ხმოსანთაგან შესდგებოდა და რომელიც ყოველ კვირა ხშირად ორჯერ იყრიდა თავს ქალაქის საქმეთა განსახილავად. მრავალი ასი თუმანი შემატა ქალაქს და კიდევაც ბევრს შემატებდა, თუ რომ გამგობა ჯეროვანი მიმდევარი ყოფილიყო მის დადგენილებისას. გარდა ხარჯების შემცირების, საფინანსო კომისიამ რამდენიმე გზა უჩვენა ქალაქის კასის გასაძლიერებლად (მცირე ხარჯის გაწერა ქალაქში გასაველეს საკონსულტოდ, ქალაქის ვალების კონფერხია, წყლის ევაკრობის წესზე დაყენება და სხვ.), მაგრამ კომისიისაგან ნაჩვენებ ღონისძიებას გამგობა ან სულ არ მიმართავდა ზოლმე, ან თუ მიმართავდა, ისე უხალისოდ, რომ თითქმის ჯერ არც ერთი აზრი საფინანსო კომისიისა არ განუზიარებებოდა, გარდა ჯამაგირებისა და შტატების შემცირებისა.

✂

მაგრამ ახალმა საბჭომ მინც შესძლო გამგობის მიუხედავად მოქალაქეთა ჯობის დაზოგვა, თუნდა მარტო

ტაქსის შემოღებით. რომ შეადაროთ ის ფასები ხორცსა და პურზედ, რაც ახალ საბჭოს დროს დაიდო წინა საბჭოს დროინდელ ფასებთან, დარწმუნდებით, რომ ქალაქელბს რამდენიმე ათასი თუმანი გადაურჩინათ მეფურნებისა და ყასების გაუშაძრობისაგან და ესეც ერთი დანახურებაა, თუ კი ვინმე სიკეთის დანახვას მიიწოდებებს და თვალზედ ფარდას არ აიფარებს. მაგრამ ტაქსის შემოღებასთან ერთად საჭირო იყო იმისთანა ორგანოს დადგენა, რომელსაც ყური ვეღო ფასებისათვის, დროზედ შეეცავა და ევაკრებისათვისაც ნება არ მიეცა უტაქსოდ ყიდვისა. პირველის საგნისთვის საბჭომ ამირჩია თვის შორის კომისია და მოერესათვის შექმნა ისეთი ორგანიზაცია საევაკრო პოლიციისა, რომელიც თითქმის უნაკლებოდა, თუ კი... თუ კი... დიად, თუ კი მის მოთავედ დაყენებულნი პირნი მოიწადინებენ ამ ორგანიზაციის ჯეროვანად წარმატებას. მაგრამ საბჭოს ნება-უნებურად ამ საევაკრო პოლიციის მოთავედ გამგობის ერთ-ერთი წევრი უნდა ყოფილიყო...

მართლაც ეს საევაკრო პოლიცია ისეა მოწყობილი, რომ მთელი ქალაქის ხორაგეულობის ევაკრობის ზრუნვა-გამგებლობა მასა აქვს ჩაბარებული და მთელი ეს ორგანიზაცია ერთად შეკრულია, და ყოველნი მისნი წევრნი ერთ-სულად და ერთ-გულად, ერთის პროგრამით უნდა მოქმედებდნენ.

ესეთის ერთიანობის დამყარება მოიწადინა ახალმა საბჭომ სამკურნალო ნაწილშიაც: ამისათვის ქალაქი გაჰყო მან შეიდ ნაწილად, თითო ნაწილს დაუნიშნა თითო ექიმი, რომელსაც მიანდა როგორც ზედამხედველობა ქალაქის ჯანმრთელობაზედ, ისე ღირებების უფასოდ წაღობა. ამ სხვა-და-სხვა ქალაქის ნაწილში გაბნეულ ექიმებს ერთი მოთავე ჰყავთ იმის ხელმძღვანელობას ქვეშ უნდა იმოქმედონ და მთელ ქალაქს ერთგულად უპატრონონ.

ეს ორგანიზაცია სამკურნალო ნაწილისა მხოლოდ უკანასკნელის დროის ნაყოფია და ჯერჯერობით მისი კვალი არ დასტობია ჩვენის ქალაქის ცხოვრებას.

ნურას ეიტყვით თუნდ იმაზედ, რომ არას დროს ჩვენს ქალაქს ისეთი მუყაითობა და თავდარიგანობა არ გამოუჩენია სხვა და-სხვა მანებელ მოციუნესთან ბრძოლის დროს, როგორც შარშან ხოლციანობის დროს აღმოაჩინა, — ნურას ეიტყვით ამაზედ, რადგან ამ ბრძოლაში მრავალ არა ხმოსანთაუ მიიღეს მონაწილეობა და მიეპქოთ მხოლოდ ყურადღება უმთავრესს ღირსებას ახლის საბჭოსას.

ეს უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ უარყოფილ იქმნა თავის-ქნევა და ბალო-აღას ძახილი ყოველ გამგეობის წინააღმდეგ; ახალს საბჭოს ქალაქის საქმეებში წესიერების დამყარების ვარდა ის სიკეთე მიუძღვის, რომ მან უარ-ჰყო ბრმა მიმდევრობა და დამკვიდრდა თვალ-ჩილოლად საქმეთა გასინჯვის სურვილი. მართალია, უწინდელ საბჭო-შიაც იყენ თითო-ორიოდა ხმოსანი, რომელნიც ამ მიმართულებას ადგენ, მაგრამ თუ ჩვენმა საბჭომ შექმნა დაღაგებული, საქმიანი ოპოზიცია, რომელიც თითონაც ფრთხილობს და თავის ამორჩილეთა ციფრთხილითა და წინ-დახედულობით მოქმედებს აწევს, ეს ახალის საბჭოს წარმომადგენელთ უნდა დაბრალდეს. როგორც უნდა იყოს დღის-სწორის არჩენიანი ტფილისის ხმოსნებისა, ჩვენ დამედებულნი ვართ, რომ ეს მიმართულება კვალ-წმინდად არ გაჰქრება, არ წაიშლება და თუ ბევრად არა, ცოტათი მაინც დააჩნევს თავის ბეჭედს მომავალ საბჭოსაც.



შესწუდა მეყვინაა ზურის ჭყვიტინი...

და სამაგიეროდ „მეველემ“ მოიღვა ფენი „იერიის“ ფურცლებზედ. დღეიანს იჭყვიტინა კერაობით ზურნამ საფეიერტონო ასპარეზზედ, „იერიის“ თანამშრომლებს ლოყები დაუსკდათ მეტის ბერვით, ფილტვები აუ-სივდათ, ხმა გაუზრნიწინდათ, მაგრამ მაინც ამ ჭყვიტინს ყურადღებს არაიენ აქცევდა, პასუხს არაიენ აძლევდა და უპასუხოვით მობეზრებულმა მეზურნეებმა სწორედ მაშინ დაანებეს თავი ამ საკრავს, როცა მას გაზაფხულის წყალობით ცოტაოდენი ბაზარი მაინც უნდა გახსნოდა. „ზურნა“ ჩაიშოდა მაგრამ სამაგიეროდ „მეველემ“ დაიჭირა ბურთი და მოედანი ამ უნაყოფო ველეებით საესე გახეიში. ვიდრე ეს გადახლისებული ლიტერატორი სერბიზისა და იტალიის მეფეებზედ სწერდა, არაფერი შევდებოდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს ისეთ საშუალებას მიმართა, ისეთის ამბების თხზვას მიჰყო ხელი, რაც ცილის-წამებვას საზღვრავს და რისაც უპასუხოვად დატოვება ყოველად შეუძლებელია და ყოველად შეუძლებელია, აი, რად: ყველას ნება აქვს „თავისი საკუთარი“ აზრი შეადგინოს თვით ჩვენ დამახორუმებულ მედაგაგებზედ და მასხარად აივდოს ისინი, როგორც უფიცნი და გულზნეიანი; თვით ყველასათვის საყურადღა და სათაყვანებელ პოეტებზედაც კი შეუძლიანთ „სანოებსა“ და სხვა ვიგინდარებს სთქვან, „საცოდენი სანახენი არიან ჩენი მოლექსენი... მათ ეტყობათ მხოლოდ რაღაცა უნარი სიტყვების ხერხიან თამაშისა და სხვა

არაფერი... თითქოს მათ ნაწიერებში ნამეტეცი აზრისა კიდევ მოიპოვებოდა...“ და სხვა კიდევ უარესი... ამის თქმის ნება ყველას აქვს, როგორც გზად მიმავალ სპილოზედ ყუფის ნებას საბრალო ფინას არაიენ შეეცილება, მაგრამ იმის ნება კი არაივსა აქვს, სხვა-და-სხვა ბრალი აკისროს მოწინააღმდეგეს, თვითონ უმანკოების შესამოსელი შეიძოსოს და მოქალაქებრივის ამაპრატენებით აუწყოს მსმენელთ და მითხველთ, აი, ჩვენ ასეთნი ვართ და ჩვენნი მოწინააღმდეგენი კი ასეთნიო, — ზსწორედ ასე მოქცეულა ბნი მეველე. ის უკანასკნელი სასჯოლო კრებების გამო მოწინააღმდეგეთ აბრალებს: თქვენ ამა და ამ პირის თავმედობარეობა იმეტომ არ მოინდომეთ, რომ ის იმეტელია და ამერ-იმეტობის გარჩევა კი ყოველთვის დამლუბველი ყოფილა ჩვენის ქვეყნისათვისა, მოიგონეთ მაგალითი ვახტანგისა, დავითისა, თამარისა და სხვ. და სხვ.

ნეტა ვის ასწავლის ქუქას ბნი მეველე, ვის უკადაგებს ისტორიულის მაგალითებით, რა ქარის წისქვილებს ებრძვის? ვინ, ანუ როდის ამოიღო ხმა იმეტრობის წინააღმდეგ, რომ ამ არა საკადრისის იარაღით, რაკი სხვა აღარა დარჩენიათ-რა, ჩრდილს აყენებენ „იერიისათვის“ უსიამოვნო პირთა მოქმედებას! ან ვინ იქნება იმისთანა „შეჩვენებული, რომ ახლანდელს დროში, როცა ძმურად ხელის ვაწვდენა და ერთობა ასე საჭიროა ყველასათვის, წინ წამოაყენოს ამისთანა უმართებულო გრძობა და ამ რაშით დიწყოს ნავარდი საზოგადო ასპარეზზედ? და თუ არ დიშლით და საბუთებს მოითხოვთ: ვინ ჩააბარა ერთად ერთი სასწავლებელი მთელის ქართლ-კახეთის თავად-ზნაურობისა იმეტრეთ და ვინ არის მათის ლაქლის ღირსეულად დამფასებელი? თუ მეხსიერებამ გიმტყუნათ, ბ. მეველე, მიმართეთ ვაზეთებს, კრებებში წარმოთქმულს სიტყვებს და იქ იპოვით პასუხს. ვინა სცემს უმეტესს პატვის ქართლ-კახეთში მთელის საქართველოს სათაყვანებელს პოეტს, რომელიც თუქა იმეტრეთში დაბადებულა, მაგრამ მთელის ჩვენის ქვეყნის გრძობის გამოთქმელად გადაქცეულა ისინი, ვისაც თქვენ ამერ-იმეტრობის გარჩევას აბრალებთ, თუ თქვენივე თანამშრომელი „სანოები“, რომელნიც ამ პოეტში მხოლოდ მესტერიობის ღირსებას ხედვენ და სხვა არაფერს? რომ მართლა ვისმე ამისთანა უმეტერი აზრი წარმოეთქვა, სწორედ სამარცხენო იქნებოდა. როგორც ბ. მეველე ამბობს, მაგრამ არა ნაკლებ თუ არ ბეჭად სამარცხენო ის არის, როცა, სხვა იარაღის უქონლობის გამო, ამისთანა უკადრის გრძობას მიმართენ ხოლმე „მეველესთანა“ მწერ-

ლები და უსაბუთოდ ერთს, ანუ რამდენსავე პირს, თვით მთელ გუნდს სწამებენ ძმათა. მტრობას, ერთსულ და ერთ-ხორც მგზობელთა სიძლიელს.



კახეთის გზის საქმე კარგად მიდის. ამ დღეებში მოლაპარაკება ჰქონდათ ერთად კომისიის წევრთ და აქაურ რკინის გზის წარმომადგენელთ და უკანასკნელთ ალუქტევეს, რომ ცოცხა ხანში შეეუღლებით გამოკლევას და სექტემბრამდე დასრულდება, თუ რაიმე განსაკუთრებულმა გარემოებამ ხელი არ შეუშალაო. ამ დღეებში ბ. პუშჩინკოვი, ოფიციალური მოთავე გამოკლევებისა ცხნით გაემგზავრება გამოსაკლევე მიმართულების დასათვლიერებლად ზოგიერთ კომისიის წევრებთან ერთად.

### მეორე წერილი მეგობრისადმი

გ ა ზ ა ს 1)



ახსოვს, მახსოვს, ჩემო გოჩაე! ის დრო ტკბილი და ნეტარი, როს გრძობითა მომაველსა უმღეროდი გულ-დამტკბარი;

ის დრო იყო სიყმაწვილის, სწავლისათვის დანიშნული, როცა გულში გიღვიოდა ძმის, მამულის სიყვარული;

რის დენიდი ბოროტებას, უნამუსო გძულდა ყველა; ანგარებას წიხლსა ჰჭრავდი, დაჩაგრულის გსურდა შევლა.

მახსოვს ყველა, რაცა გითქვამს, რას ფიქრობდი, რა გინდოდა. რა გრძობითა გამსტკეალულსა, ქვეყნის შეება შენ გწყუროდა:

შენი მცნება იყო შრომა, სიმართლე და სიყვარული; ძმად მიგანდა ღარიბი და უსამართლოდ დაჩაგრული.

ასე გქონდა შენ თათბირი განსაზღვრული გზა და კვალი, აწმყოზედა მომდღურებმა დაიხატე მომაველი...

როგორც იყო, მოარჩი სწავლას! ცხოვრებაში შესდგი ფეხი; შეუპირად ბოროტებას შენ დაეცი, ვითა მეხი.

მაგრამ დრომან გაიარა... მიგისუსტდა წმინდა გრძობა; რაც რომ გძულდა, შეგიყვარდა, დაგავიწყდა მეგობრობა.

დაგავიწყდა შენი მცნება, გაკვლეული, განსაზღვრული; დაგავიწყდა ღარიბი და უსამართლოდ დაჩაგრული;

ხალხის მტერი შეირიგე ქრთამს მიყავი შენცა ხელი; შრომისათვის მოითხოვე სხვაზედ მეტი სასყიდელი.

სამსახურში შეძვერი და, ყურ-მოჭრილი გახდი მონა; ცხოვრებამან გაგიტაცა, თათბირი არ მოგაგონა.

აღარ ამბობ: „ევი იმას, ვინც შესცვალოს დანაპირი; სამშობლოს მტერს უფრთხულოს, არ იტყვიროს მოძმეთ ჭირი.“

კორტობა

### მიტომორღოვშია, ანუ სწავლა ამიღვზე

(გაკვირით)



ყო დრო, როდესაც ადამიანი გაცივებით შესტკეროდა სხვა-და-სხვა მოვლენას დედა-მიწაზედ, თუ ჰაერში. ზოგჯერ იმისთვის სულ უბრალო მოვლენის მიზეზი ისე ძნელი ასახსნელი და გაუგებარი იყო, როგორც, მაგალითად, საბრალო ჩიტი ვერ მიჰხედება ხოლმე: —უმეს ბუნებას მოუშხადებია მისთვის საცენკი, თუ ცუგრუმელა ყმაწვილის დაუყრია იგი ჩიტის მოსატყუებლად და დასაჭერად. შორეულ ქვეყნებში ჩვენს დროსაც მოიპოება ბევრი ისეთი ველური ხალხი, რომელმაც ცეცხლის ხმარებაც არ იცის და აზრი და გონება იქამდის ვერ მიუწვდებდა, რომ ხუთამდის თელა ისწავლოს. მაგრამ, ადამიანის შეილთა საბედნიეროდ, კაცობრიობა საზოგადოდ ასეთი ველური მდგომარეობიდან კი ხანია გამოვიდა. დასაწყისიდანვე კაცის გამჭირაზი და ცნობის მოყვარე ჰქუა შეუჩერებლად აკვირდება, არჩევს და იკვლევს ყოველსავე მოვლენას და იმის მიზეზს

1) პირველი წერილია დაბეჭდილი „მზათომში“ 1872წ.

არამც თუ დედამიწაზე, არამედ გულ-დადებით სწავლობს იმასაც, რაც უსაზღვრო ცის სივრცეშია.

უხსოვარი დროიდან შექნიშა ადამიანმა თავის ზემოდ ორ-გვარი სამფლობელო, სფერო: ერთი-მოკაშაშე ვარსკვლავებით „მოქცეილა“ და მეორე— ლობულეთა სამფლობელო, ატმოსფერო. იმან პირველს და მეორეს შორის დიდი განსხვავება დაინახა. მარად მწყობრ და აუშფოთებელ მნათობთა სამფლობელომ მიიზიდა და მოჰბიძლა ადამიანის გული თავის სიშვენიერით და გასაცუფრელი უსაზღვროებით. მომხიბლველ ვარსკვლავთა ცხოვრებას სწავლულებმა რამდენიმე ათასი წლის წინადღე დაუწყეს ცნობიერი ცეკრა ბ ტყევეა. შხოლოდ ლობულეთა სამფლობელო, რომელიც ჩვენს ცოდვიანს დედამიწასთან შედარებით ასე ახლოა, თითქო თავისი არეც-დარევისა და მოუსუნერობის გამო აღარ გაჰხდა თავიდანვე მეცნიერთა ყურადღების ღირსი.

იმ სწავლას ანუ მეცნიერებას, რომელიც იველოდ და სწავლობს სხვა-და-სხვა მოვლენას ჰაერში, ეწოდება ატმოსფეროლოგია ანუ მეტეოროლოგია. სწავლულნი ამ მეცნიერებას თავისთავად ჰყოფენ კიდევ ორ განყოფილებად: კლიმატოლოგია, ანუ სწავლა ჰავაზე, და საკუთრივ მეტეოროლოგია, ანუ სწავლა ამინდზე. ამ უკანასკნელის შესახებ მექმნება ქვემოდ ლაპარაკი, რამდენადაც კი ამის ნებას მომიცემს გაზეთის ადგილი.

დედამიწაზედ ადამიანი მეცნიერების წყალობით, როგორც იტყვიან ხოლმე, ბუნების მეფედ გახდარა, თუქცა ამ ბუნების გეიოგენმა,“ კაცმა, ქვეყანაზე ბევრი რამ ახალი შეიტყო, შეისწავლა და გარშემო ბუნება ლაუმორჩილა თავის შორს-გამჭვრეტელს ქუქსს, მაგრამ სამაგიეროდ „თავისუფლად სტიქიონს,“ ჰაერს, ევრა მოუხერხა-რა. სხვა რომ არა ესთქეთა, მარტო ჰაერში მავლთ რამდენი შრომა, ენერგია და მსხვირლი დასკირდათ თავისუფალ სტიქიონთან ბრძოლაში, და ჯერ კიდევ ეერ დაუმარცხებიათ ეს უკანასკნელი ისე, როგორც ადამიანმა სძლია ქვეყნის სხვა სტიქიონებს. რაც შეეხება ამინდის შესწავლას, იმის წინადღე წარმოადგენს და ვაგებას,—ამ მხრითაც კაცის გამაზრევებას ჰაერთან ბევრი უღლია. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან თვითონ მეცნიერება— მეტეოროლოგია ანუ სწავლა, რომელიც აკვირდებდა ამინდის ცვლილებას და ატმოსფერულ მოვლენათა მოძრაობას, სრულიად ახალგაზდა. თითქმის ნახევრის საუკუნის არ გაუვლია მას აქეთ, რაც ეს მეცნიერება განჩნდა. ამის არსებობა უფრო შემთხვევამ გამოიწვია. ეს იყო, როგორც ამბობენ, იმ დროს, როდესაც ბალაკლავის შესანიშნავი ქართველი მოჰხდა ყირიმის ომიანობის დროს 1855 წელს. ამ ქართველმა მოკაეშორე ფრანგ-ინგლისელთა საომარი

გმით-კრებული სულ აჰკუწ-დაჰკუწა. მეცნიერის ლევერის აზრით ამ მოვლენის წინასწარ-დანახვა და მას წინააღმდეგ ზომების მიღება, თავიდან ასაშორებლად, შესაძლებელი იყო-ო. პირველად ლევერის მოუვიდა ის აზრი, რომ ევროპის სხვა-და-სხვა მხრიდან ერთს აღნიშნულს დროს შეიკრიბოს ცნობები ამინდის შესახებ და დაინატოს ატმოსფერის (ჰაერის) რუკე-ო. შეკრიბეს სწავლულებმა ცნობები, დაკვირვებანი ამინდზე და გაციფრებით შექნიშეს ჰაერში ის, რის დანახვასაც უმეცნიერებოდ აღჭურვილი თვალი ვერ შესძლებდა: აღმოჩნდა, რომ ჰაერის ყველა მოვლენა ემორჩილება რომელსამე წესს და კანონს. ესეც კარგი გამოკვლევაა, რადგან სწავლულთა აზრით, როცა რომელიმე მოვლენა წესიერ-კანონიერია—მაშინ იმის შესახებ წინასწარმეტყველება ძნელი აღარ არის მეცნიერებისათვის. ამის შემდეგ, რასაკვირველია, „თავისუფალს სტიქიონს“ მეტეოროლოგიამ გამოუცხადა ომი. ეს ომი მტერთან გამოიხატება იმაში, რომ ჰაერის სხვა-და-სხვა მოვლენას (წვიმას, ქარს, სეტყვას, (კობს), გვალვას და სხვ.) ადამიანი აკვირდება და ცდილობს წინ-და-წინ შეიტყოს იმის მოსვლა, რათა საჭიროების დროს თავი მოაზრიდოს. მეცნიერული წინასწარმეტყველება ამინდისა გაცილებით ძნელია უბრალო და უსაფუძვლო წინასწარ მოსაზრებაზე. ჩვენს ძველბუნურს „ეფუთს“—ამ უქრის, როცა კი დავეყიფებოთ, რომ ამა-და-ამა წელს „უტყუო იყოს ზედნდები ამდენი, მას წელსა იყოს ზამთარი ხმელი და მოკლე, ფუტკართა წყვეტა, თივა მცირედ... ჩრდილო სჯობდეს და სხვ., მაგრამ რამდენად გამართლდება ეს წინასწარ-თქმა, ალღაჰმა უწყისი მართალია, თვით ახალი მეცნიერება — მეტეოროლოგიასაც უძნელდება ამ ჟამად დაქვემდებარებულთა წინასწარმეტყველება ამინდის შესახებ, მაგრამ იმის ნათქვამი მაინც მეცნიერულს საბუთებზეა დამყარებული და ამიტომაც უფრო საიმედოა. ჰაერის მოვლენათა მეცნიერულად შესასწავლად და გამოსაკვლევად არსებობენ ესრედ წოდებული ობსერვატორიები და მეტეოროლოგიური სადგურები. რუსეთის სახელმწიფოში უმთავრესი ფიზიკური ობსერვატორია არსებობს პეტერბურგში. \*) ამ ობსერვატორიას რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილს ჰქონია წარსულს 1891 წელს 658 მეტეოროლოგიური სადგური II და

\*) სიტყვა „ობსერვატორია“ წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან observe (ობსერვო), რაცა ნიშნავს—ვაკვირდები, ვაჩნევ, ვნიშნავ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ არამც თუ უსწავლულმა, ბევრმა სწავლულმაც კი არ იცის, რა განსხვავებაა ამგვარ ფიზიკურს და ასტრონომიულს ობსერვატორიებს შორის,—რის გამოც ურევს იმათ ერთობითანში. ასტრონომიულს ობსერვატორიას, როგორც რუსეთში, ისე სხვაგან, საკვლევ-შესასწავლელ საგანად აქვს აღებული ცის

III რიგისა. ამით შორის მხოლოდ 70 სადგურია ისეთი, რომელნიც პეტერბურგის ობსერვატორიასთან არიან შეერთებული ტელეგრაფით. ცხადია, ასე მცირე რიცხვი სადგურებისა უნდა იყოს მიზეზი იმის, რომ რუსეთში მეტეოროლოგია ას შემთხვევაში მართა 50 წინასწარმეტყველებას იძლევა სწორს და მართლს. ამერიკის შეერთებული შტატების ობსერვატორია კი, რომელსაც 150 მეტეოროლოგიური სადგურიდან მისდის ტელეგრაფით დღეში სამჯერ საჭირო ცნობებს ჰაერის მდგომარეობის შესახებ, ატბადებს 80 პროცენტს ნამდვილს წინასწარმეტყველობას ამინდზე. კი ხანია, რაც ამ ქვეყანაში ყოველს დღე და ღამეში სამჯერ იბეჭდება მეტეოროლოგიური რუკები, რომელნიც აცნობებენ მტბოვრებელს ამინდის სივ-კარგეს. ამ რუკებზე ერთობლევ მიღებული ნიშნებით აღნიშნულია, თუ რა დროს როგორი მიმართულების და ძალის ქარი იქნება, ელვა-ქეჩა, წვიმა, თოვლი და სხვა მოვლენანი ჰაერში.

თუმცა განათლებულს ქვეყნებში მეტეოროლოგიური სადგურები ბევრია გამართული, მაგრამ უმეტესი ნაწილი დედა-მიწის ზურგისა კი მაინც სულ მოკლებულია ასეთს სადგურებს. ამიტომაც, მეცნიერების სიტყვით, სანამ დედა-მიწის არ მოეფინება ამ გვერის სადგური და ისიც სქოლად, იმ დრომდის მწელი იქნება მეცნიერებისათვის თქმა—ხეალ ანუ ზეც კულდ ტაროს იქნება, თუ კარგ. ასეთი დრო რომ მომავალში დადგება, ეს საიმედოა, რადგან ხსენებული ახალ-გაზღვ მეცნიერება ჩქარი ნაბიჯით მიდის, წინ. მართლაც გამოჩინილი გეოგრაფის კლოდენის სიტყვით, ამ ოცი წლის წინად მიუღს დედა-მიწის ზურგზე 1,100 მეტეოროლოგიური სადგური ყოფილა მართა; რუსეთში იმავე დროს — 35, ჩვენს პაწაწა ქვეყანაში კი 3 — ტფილისში, ქუთაისში და ბათუმში (იმ დროს ეს ქალაქი ოსმალეთს ეკუთვნოდა). ახლა შეადარებ ეს უკანასკნელი რიცხვი სადგურებისა წინდელ რიცხვს იმისათს და ნათლად დაინახავთ, რომ მეტეოროლოგია, რომელიც წინად მხოლოდ მეცნიერთა ხელში იყო, თან-და-თან იზრდება და ვრცელდება. ამ გარემოების მიზეზში უფრო ერთი ის არის, რომ თვით ეს მეცნიერება ყველა ნასწავლი კაცისათვის ადვილი და ხელ-მისაწვდომია, და მეორეც ისა, რომ მეტეოროლოგიას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სოცლის მეურნეობისათვის და ზღვაში მკაღთათვის. ყოველი შეგნებული და ნასწავლი მეურნე დაწინაურებულს ქვეყნებში აუცილებლად თეალ-ყურს

მნათობნი (მზე, მთავრე, ვარსკვლავები, კუდიანი ვარსკვლავი და სხვა) და, მამსადამე, ეს მეცნიერება უმთავრესად სულ სხვა დანიშნულებას ემსახურება. ასეთი ობსერვატორია ერთი ჩვენს ქვეყანაშია დაარსდა წარსულს წელს, სახელდობრ აბას-თუმანში.

კეობრა.

აღენებს მეტეოროლოგიურს ცნობებს, ან თვითონვე ჰმართავს მეტეოროლოგიურს სადგურს და აკვირდება ჰაერის მოვლენას ყოველ-წლები, რათა მიწის მუშაობამ და ოფლის ღერამ გუქვად არ ჩაუაროს. ბერის სჯერა და ჩვენც არ ვუქვს საბუთი არ დავიჯუროთ, რომ მეტეოროლოგია ერთ დროს შეიქნება საზოგადო, ყველასათვის სახარო და სასუკარ-სარგოიან მეცნიერებად. მით უმეტეს, ყოველს მიღედეს, სოფლის მემამულეს, სოფლის მასწავლებელს, თუ საზოგადოდ განათლებულს კაცს შეუძლიან ამ მეცნიერებას ემსახუროს და, თუ სურვილი ექნება, გინდ ეტლავ ვაჰმართოს მეტეოროლოგიური სადგური, ანუ ობსერვატორია. ამისთვის მხოლოდ საჭიროა შემდეგი იარაღები: ა) ჰაერის სითბო-სისიველის (სინსტეის) გასაცვად ტერმომეტრი და პსინტრომეტრი, ბ) ჰაერის სიმძიმის (Давление) შესატყობად ბარომეტრი, გ) წვიმის საზომავად — წვიმის საზომი (ომბრომეტრი) და დ) ქარის მიმართულების შესატყობად — ფლიუგერი. აი, ჩველებრივი ობსერვატორიის ანუ მეტეოროლოგიურის სადგურის ავლადი დება, რომლის ხმარებას და ხელის შეწყობას ნახევარს საათში ისწავლის გონება-განვითარებული კაცი, თუ უფრო აღრე არა. რომ მეცნიერებას და თავის თავსაც კაცმა სარგებლობა მოუტანოს ასეთი საქმიანობით, პირველადვე საჭიროა ვაკიკოს ზოგადი ხსიათი ატმოსფერის მოვლენათა და შეითვისო იმითი მარტივი და მწყობარი კანონები. ეიმეორებ, ამის ასრულება ადვილია ყველასათვის, ვისაც საზოგადო განათლება მაინც მიუღია.

ამ წვილის ბოლოს მოვიხსენებ იმას, თუ ჩვენი ქვეყნის რომელ დაბა ქალაქებში აქვს პეტერბურგის უმთავრესს ფიზიკურს ობსერვატორიას მეტეოროლოგიური სადგურები III რიგისა. საზოგადოდ ჩვენს სოფლებში ნაკლებად არიან ნასწავლები და, რასაკვირველია, განათლებული მეურნენიც. ამიტომ ამ ხანად მეტეოროლოგიურს სადგურებს მარტო დაბა-ქალაქებში ეხედები. ტფილისს გარდა, სადაც კი ხანია არსებობს ფიზიკური ობსერვატორია. მეტეოროლოგიურს დანაკვირვებს უზუნდინდ 1891 წელს პეტერბურგის ობსერვატორიას საქართველოს შემდეგი ადგილებიდან: გორიდან, თელავიდან, სიღნაღიდან, ყვარელიდან, ართვინიდან, ჯალალ-ოლიდან, ოზურგეთიდან, ალექსანდროპოლიდან, ბათუმიდან, ახალსენაკიდან, ონიდან, ფოთიდან, ბორჯომიდან, მან-გლისიდან და სხვა. გარდა ქუთაისისა — სულ 21 დაბა-ქალაქიდან. დამკვირვებელთა შორის ქართველი მარტო 6, დანარჩენი უმეტეს ნაწილად რუსები არიან; ქართველთაგან — 5 მასწავლებელი და 1 მღვდელი.

ივ. ხოტეველი

### წერილი ამშვიტ

### სატყუ. თქმულა ნაკო პაქრძის მიერ

**წ**ლის სასამართლოს დაუმტკიცებია ანდროძი ენ. ელისაბედ ივანეს ასულის ორბელიანისა, რომელმაც სხვათა შორის უნადრძა წერაკითხვის გამაგრებელის საზოგადოებას ბოროტობის მახრამე მდებარე მამული ყულარისა იმ პირობით, რომ ამ მამულის შემოსავლით საზოგადოებამ იყოლოს ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში ერთი, ან რამდენიმე სტიპენდიატი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შვილთაგან, მის და მის ქმრის აუფლან ორბელიანის სახელობაზე.



წერაკითხვის გამაგრებელს საზოგადოებას დაუთმეს თავადის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეთა სრული უფლება პოეტის თხზულებათა გამოცემაზედ. ამ ქამად გამოცემა შემოსხენებულის დაწესებულებისა სიხოვეს ყველას, ვისაც კი აღმოუჩნდება რაიმე თხზულება, წერილი და ხელნაწერი დიდებული ს პოეტისა, გამოგზავნონ წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში გამოცემის სახელზედ. როგორც კი დაიმტკიცება სრული თხზულება, თვით ხელნაწერები უკან დაუბრუნდებთ მათ პატრონებს.



მესამე ნომერი კურნალის „ჯეჯილისა“ გამოვა მისის 11-ს, სამშაბათს შემდეგ მინარსით: ია და კესანე ლექსი-ზღაპარი, — თ. რაზიკაშვილისა, — პატარა ნუსხას სათხოვარი, მოთხრობა, — ან. ერისთავისა. — ძირა და კრუბი; ხალხური ლექსი. — დაჯილდებებული ფაქიზა, ფრანგულით. — ან. თ. წ. — ისა. — შაშვი, ლექსი, მგრცხალისი. — ფესეები, ეკავა-ფშველისი. — მელა და მაყელი. — ეხოპის ივავი. მ. ლ. — ზღაპარი სამკერცხას ქალისა. — ღრუბლები და მთავრე ლექსი დღუტუ მგერელისა. — ნანოს დედოფალი, მოთხრობა ეკ. ვაზაშვილისა. — ბაეშვილის დროის მოკრება (II ტომიანი ძალი) ი. სვიმონიძისა. — რობერტ ფულტონი (დასასრული) ან. თ. წ. — ბაბუკას ანგარიში ფრანგულით ან. თ. წ. — პატროსანი და უპატროსნისი და ხხე.



### კორექტურული შეცდომები:

წერილში ბარათაშვილის ნაშთის ვაღმობაწა დაწერილია: „ორი საუკუნე“ უნდა იყოს: „თითქმის ნახევარი საუკუნე“ დაწერილია; 3 არშინი და 12 ვერშაკი. უნდა იყოს: 2 არშინი და 12 ვერშაკი.  
წერილში: „იტალიის კაროლის ჰუმბერტოს და მისი მეუღლის მარკარეტის ოცდახუთის წლის ქორწინების დღესასწაული“ — დაწერილია: „ნეაპოლი და სარადინა“ უნდა იყოს: „ნეაპოლი და სიცილია“.  
წარსულის კვალის ნომრის სათაურში სწერია 2 პარილი. უნდა იყოს 3 მისი.

6. ბარათაშვილის ნაშთის ვაღმობაწის დროს. ქ. განჯას.


„უცხოთა ცას ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი, დაუბრუნებელი ჩვენთანა, ჩვენთვის კი დამიწებული,“  
გ. მ. მკვიდრისა.



**მ**ველა ქართველი, ვისაც არ დაეწეებია თავისი სამშობლო, სადაც უნდა ცხოვრებდეს იგი, საქართველოში, თუ უცხო მხარეში და არ განუწყვეტია იმასთან კავშირი, ვინც ცოცხათი მაინც იცის ქართული წერაკითხვა და ლიტერატურა, უწყველად გაუგონია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი, წაუთხზავს და დამტკბარა იმის შეწინიერი ლექსებით. ბევრმა კი ზეზირადაც იცის ზოგიერთი იმისი ლექსები, მაგ. „მერანი“ და „სულთა ბოროტო“, „სული ობოლი“, „და ხე. ვისთვის არ აუტკივბია გული იმის მაღალ პოეტურს და მამულის სიყვარულით გამსჭვალულ პოემას „ბედი ქართლისა;“ ვინ არ გაუტანია თავდავიწყებამდის მოძმესთვის თავდასადგმათ იმის რაინდულ ლექსს „მერანს.“ მაგრამ, მკონი, ბევრმა კი არ იცის, სადა ცხოვრებდა, სად გადაიცილა და სად განისვენებს იმისი გვამი. ბევრმა არ იცის, რომ საბარალო მგოსანი, მოშორებულთა თვის სამშობლოს, სიკვდილის ქამსაც ვერ ვიღრსა იმის ნახვას, ვაღაოცევალი უცხო მხარეში და იქვე იყო დასაფლავებული ნათესავთა და ნაცნობთა დაუტკირალი.

თა 6. ბარათაშვილზე დაიბადა ქ. ტფილისში 22 ნოემბერს 1816 წ. ქართული წერაკითხვა დედას უსწავლებია. მეცხრე წლისა ის მიუბარებიათ შეგირდად კალოუზნიანთ სკოლაში და მერე კეთილშობილთა სასწავლებელში წასულა 1827 წელს და 1835 წ. სწავლა გაუთავებია. კურსის შესრულების შემდეგ უნივერსიტეტში სდომებია წასულა, მაგრამ შინაურ გარემოებათა წყალობით სურვილი ვერ შეუძლო სრულგებია და სამსახურში შესულა. 1843 წლის ბოლოს გაუმწყესებიათ თავის უნებურად ნახიჩევანში მხარის უფროსის თანამშემუდელ და 1845 წლის დამდეგს მამვე თანამდებობაზედ განჯაში ვაღმობუყვანიათ. 1845 წ. ოქტომბრის 2 ვაღაიცილა აქ განჯაში და აქვე იყო დასაფლავებული.

ჩვენ ვერ ეჩივლებთ ახლა იმნაირად სამშობლოს მოშორებას, როგორც ბარათაშვილი, რადგან ახლანდელი გარემოება და მაშინდელი სულ სხვა იყო. ახლა რკინის გზისა ფოშტა-ტელეგრაფის და ვახუტეების წყალობით ისე ვაადვილდა მისელა-მოსელა და აშმების ვაღატან-ვაღმობაწა, რომ განჯაში მცხოვრები ქართველი ჯაკი აგრე რივად არ გარძნობს





სამშობლოს მოშორებას მით უმეტეს, რომ აქ ახლა საკმაოდ არიან ჩენნი თანამემამულენიც, რომლებიც არ აგრძობინებენ კაცს სულის აბღობას. სულ სხვა იყო ბარათაშვილის დროს. სად იყო მაშინ ან რკინის გზა, ან ტელეგრაფი, ან გაზეთები. ძალიანაც რომ სდომებოდა, რამდენსათმე თქვამიაღ ძლივს შეიტყობდა თავის ქვეყნის ამბებს, ქართულ კაცს ხომა თვალითაც ევრა წახანავდა, რომ სამშობლო ენახედ გამოსაუბრებოდა.

საბრალო მგოსანო! ბედმა ვაღმობავდა ამისთანა მხარეს, სადაც ყველაფერი შენთვის უტეხა იყო, მიწა და ხალხიც და რა გასაკვირეელია, რომ ანაირ გარემოებაში მთლად დაობლებულად ჰრაცხდი შენს თავს, ევრა ჰმოვობდი აქ სულის საზრდოს და როგორც შენა სწერდი შენს დას, აქ ე. ი. განჯაში, შენი ცხოვრება ტანჯვისა და უსამართლოების მეტი არა იყო რა. რას მოიფიქრები მგოსანო, რომ ის ლექსი, რომელიც შენ ილია ორბელიანზედ დასწერე, იმის შამილთან ტყვეობის დროს, მთლად შენს თავზედ ახდებოდა. შენ ამბობდი იმის მაგიერად:

ნუ დაეპიარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის, ნუ დამიტროსს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარისა.  
 შავი ყოზანი გამითხრის საფლავს მდელათა შორის ტილის მიწადღრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ხართ ღრიალით მიწის მოწყაიბის სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ობერსა დამეცემიან კოურნიცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვის ნაცვლად მივალალებენ სავანი მყოვარნი.

ულმობელმა სიკვდილმა არ დაინდო შენი ყმაწვილ-კაცობა, შენი სამშობლოსთვის მამცერალი გული და 29 წლის ქაბუჯი გამოგასალმა ამ წუთისოფელს. შენმა ბედმა საიკოცხლის დროს ხომა ტანჯვისა და ეავების მეტი არა გაჩვენა რა და იმდენად მუხთალი იყო, რომ შენ საყვარელ სამშობლოში განსვენებდაც აღარ გადირსა, გავისტუმრა უტეხა მხარეს, იქ მოგიღო ბოლო და იქვე მიგაბარა მიწას.

თუ შენი მშობლები და ნათესავები დაობლდენ შენი სიკვდილით, უფრო მომეტებულად დაობლდა შენი სამშობლო, რომლის ბრწყინვალე ვარსკვლავდაც ამოხველ და ისევ სწრაფად ჩასვენე. ძლივს მოეცლინე დაღერადიმოლ საზოგადოებას სულით და გონებით მდიდარი მოღვაწე, მაგრამ, დაბე ბელსი საქართველომ უღრმოვად დაგკარგა თვისი ერთგული, მოსიყვარული და ბევრი იმედების მომტანი შვილი. სამწუხარო და სამგლოვარო იყო მთელი ერისთვის შენი სიკვდილი და კიდევ გამოათქმეინა მან ეს მწუხარება შენს ერთ მოძმეთავანს.

აღარა გვეყვებარ... უღრმო იყო შენი სიკვდილი! ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დავმარბეთ ჩვენა!

ვმტკიცე გული, სიყვარულს სხვი-ქვეშ ვაშლი, რაოდენ გრანობით, ჯერ უტყვლით ჩვენ ხავესტენა? ვინ იცის, თანა რაოდენი წარილ ფიქრნი? მათ შინწუნლობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ... რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვევლინი დასტყენ შენს გულში განუშლულად ცერე უღრმოვად. არა დღე-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ვისი ვილა მივიდეთ ჩენნი გრანობა ტანჯვა და ლხენა? მაგრამ, პოეტო, საყვარლო ხარ ბედნიერი, რომ შენი ლექსი სიკვდილთაც არა გვკლავს შენა.

ულრობით მოშორდი ამ წუთისოფელს მაგრამ მაგ მოკლე ხანშიაც დასტოვე კვალი შენის არსებობისა, უნაყოფ არ ჩაუვლია მაგ განწირულს სულის კვეთებას და გზა უვალი, შენგან თელილი, მაინც კი დარჩა და ბევრ შენს მოძმეს გაუადვილე გზა ცხოვრებისა. შენის მოკლე სიკოცხლითაც დამატკიცე შენივე სიტყვები, რომ

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემგავისო, იცოს სოფელში და სოფელი კი არა რაგოს,

მარტო შენი პოემა „ბედი ქართლისაცა“ კმარა კარგა წაიკითხოს ქართველმა, რომ თითონაც გაიმსჯელოს მამულის სიყვარულით და ამასთანავე აღტაკებით მოიხსენიოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი. ამისთვისაცა, გაიგეს თუ არა, შენის ნაშთის გადასვენების ამბავი, ყველა ქართველი მოისწრაფის თაყუანი ჰსცეს შენს სახელს.

თუმცა ჩვენ—განჯაში მცხოვრებ ქართველთათვის—ღიდავ სამძიმოა შენი საფლავის მოშორება, რადგან ჩვენთვის აქ ევ ერთი სასიკადალო და სათაყვანებელი საგანი იყო, მაგრამ არ ვიქნებით იმდენად გულ-ხარბნი, რომ ამ ძვირფასი განძით ესტკებოდეთ მხოლოდ რამდენიმე კაცი და ეს სიამოვნება მოეკლოთ მთელ ქართველ ხალხს. პირიქით, რამდენდაც უფრო მეტ პატივსა ესცემთ შენს საფლავს, იმდენად უფრო მეტად ხელს ეუწყობთ მის გადატანას, რომ ახლა—48 წლის უტეხა მხარეში ყოფნას შემდეგ მაინც შეგვიროდეს შენი სურვილი, ახლა შენმა ძელებმა მაინც განისიენონ შენსა მამულში შენსა წინაპართ საფლავებ შორის.

ახლა კი დროა, მგოსანო, დაუბრუნდე შენს მამულს, რომელიც გზრდიდა, გავისტუმრა შორისა გზანუღა, და სიკვდილს შემდეგ მოშობოლოდა ისევ მივიცენებეს გულზედა.

**სიტყვა თქმული დეკანოზის შ. მმ. ნარაშვილის მიერ**

6. ბარათაშვილის ნაშთის წინაშე, განჯაში.

ვარ შემიძლია არ გამოეთქვა ორიოდ სიტყვა, როგორც შენმა პატივისცემელმა ქართველმა ამ დროს, როდესაც შენს უძვირფასეს ძელებსა და მტერს ეისტუმრებთ იქ, საითაც

დიდი ხანია მიჰქროდა შენი სურვილი. წმიდა დიდი წინასწარმეტყველი დაღითი ეინ არ იცის, რომ ლეიფ-შთაგონებული ლეთის მტკაცველი და უმჯობესი პოეტი იყო. თავის პირველ დასაღმძვინში პირველის თავის სიტყვებით აყრის ნეტარებას შენისთანა კაცსა: „ნეტარ არის კაცი, რომელი არა ვიღოდა ზრახვასა უღმრთოთაჲსა.“

